ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6440890

ნომერი: AR1962724

თარიღი : 25.04.2023

გაცემის თარიღი : 02.05.2023

გაცნობის თარიღი : 02.05.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ვაშლიჯვარი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 17 , (ნაკვ. 03/005);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა ედიშერაშვილი პ/ნ 01001040982
- ქ. თბილისი, გელოვანის გამზირი 52

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "სითი და კო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404398077
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ილია ანთაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024013390

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 3383.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1887.05
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 29324.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 29172.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 152.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 12.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები (ხარვეზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ), კერძოდ:

1.დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნას ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა.

2.წარმოდგენილ იქნეს უახლესი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები გადაღების თარიღის დაფიქსირებით.

3.წარმოსადგენია სრულყოფილი საინფორმაციო დაფა – ბანერის ამსახველი ფოტოსურათები შორი და ახლო ხედებიდან. საინფორმაციო დაფა უნდა დამაგრდეს საზოგადოებრივი სივრცეებიდან აღქმად, თვალსაჩინო ადგილზე და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების 19-ე მუხლის შესაბამისად აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს

•მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაციას;
•მიწის ნაკვეთის მისამართს;
•შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულებას;
•დემონტაჟის მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელებას/მისამართს და განაცხადის განხილვის ვადებს (სარეკომენდაციოთ გაცნობებთ: მიუთითეთ კანონით დადგენილი განხილვის ვადა);
•სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის დაზუსტებულ სართულიანობას ან/და გაბარიტებს.
•საინფორმაციო დაფის გაბარიტები და მასზე ინფორმაციის განთავსების პირობები, საჯაროობისა და თვალსაჩინოების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძლება დააზუსტონ მშენებლობის ნებართვის გამცემმა ორგანოებმა მინიმალური გაბარიტის ჯერადობის მიხედვით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.